
სატენდერო დოკუმენტაციის კომპლექტი
მცირე სამუშაოების შესყიდვისთვის
ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა
(ნაწილი 2)

შესყიდვის დასახელება:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხე-ზემო სურების
გზის რეაბილიტაცია

ტენდერის ნომერი: **EIB/MIMP/W/NCB/29-2016**

პროექტი: **ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი**

შემსყიდველი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

ქვეყანა: საქართველო

დოკუმენტის გამოცემის თარიღი: **2016 წლის ოქტომბერი**

ნაწილი II

1. II თავი - სატენდერო მონაცემთა ნუსხა (სმნ)
2. III თავი – შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები
3. VII თავი – სამუშაოთა მოთხოვნები
4. IX თავი - კონტრაქტის კონკრეტული პირობები (კკპ)

II თავი - სატენდერო მონაცემთა ნუსხა (სმნ)

ა. შესავალი

| | |
|---|--|
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 1.1 პარაგრაფი | სატენდერო წინადადების წარმოდგენაზე მოწვევის ნომერი: EIB/MIMP/W/NCB/29-2016 დამკვეთი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 1.1 პარაგრაფი | ტენდერის დასახელება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხე-ზემო სურების გზის რეაბილიტაცია ტენდერის საიდენტიფიკაციო კოდი: EIB/MIMP/W/NCB/29-2016 ტენდერის შემადგენელი ლოტების რაოდენობა და საიდენტიფიკაციო კოდი: არ გამოიყენება |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 2.1 პარაგრაფი | სესხის მიმღების სახელწოდება: საქართველო |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის, 2.1 პარაგრაფი | პროექტის სახელწოდება: ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის, 2.1 პარაგრაფი | სასესხო ან საფინანსო ხელშეკრულების თანხა: ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) სესხი 100 მლნ ევრო |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის, 4.1 პარაგრაფი | ერთობლივ საწარმოში წევრების მაქსიმალური რაოდენობა: 3 (სამი) |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის, 4.4 პარაგრაფი | უფლებაჩამორთმეული ფირმების და პირების სია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე: www.worldbank.org/debarr |

ბ. სატენდერო დოკუმენტაცია

| | |
|---|--|
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის, 7.1 პარაგრაფი | განმარტებების მოთხოვნა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით. დამკვეთმა უნდა მიიღოს განმარტების შესახებ თხოვნა არა უგვიანეს: წინადადებების წარმოდგენის ბოლო თარიღამდე 14 დღით ადრე |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის, 7.1 პარაგრაფი | განმარტებებს დამკვეთი განათავსებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის, 7.4 პარაგრაფი | წინასატენდერო შეხვედრა: ჩატარდება წინასატენდერო შეხვედრის ჩატარების შემთხვევაში მისი ადგილი და დრო: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მის.: დავით აღმაშენებლის გამზირი #150, სართული III, ოთახი #316, 28 ოქტომბერი, 15:00 საათი. დამკვეთის მიერ ორგანიზებული ობიექტის მონახულება: არ ჩატარდება |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის, 8.2 პარაგრაფი | სატენდერო დოკუმენტაციის ნებისმიერ დამატებას/ცვლილებას დამკვეთი განათავსებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. |

გ. სატენდერო წინადადებების მომზადება

| | |
|---|--|
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 10.1 პარაგრაფი | სატენდერო წინადადების ენა: ქართული ყველა კორექსონდენციის ურთიერთგაცვლა უნდა მოხდეს: ქართულად დამხმარე დოკუმენტებისა და ბეჭდური ლიტერატურის თარგმნის ენაა ზემოთმოყვანილი ენა. |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 11.1 (ბ) პარაგრაფი | სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას: განფასებული სამუშაოთა მოცულობების უწყისი. |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 11.1 (დ) პარაგრაფი | ტენდერის მონაწილემ სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შეთანხმება კეთილსინდისიერების შესახებ სატენდერო დოკუმენტაციაში თანდართული ფორმის (დანართი #1 შეთანხმება კეთილსინდისიერების შესახებ) მიხედვით. |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 11.1 (თ) პარაგრაფი | ტენდერის მონაწილემ სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დამატებითი დოკუმენტები: - სამუშაოთა წარმოების გრაფიკი - სამუშაოთა წარმოების პროგრამა და მეთოდოლოგია |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 13.1 პარაგრაფი | ალტერნატიული სატენდერო წინადადებები: არ არის დაშვებული |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 13.2 პარაგრაფი | სამუშაოს დასრულების ალტერნატიული ვადები: არ არის დაშვებული იმ შემთხვევაში თუ ნებადართულია სამუშაოს დასრულების ალტერნატიული ვადები: შეფასების მეთოდი მითითებული იქნება, შეფასების და კვალიფიკაციის კრიტერიუმის თავი 3-ში. |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 13.4 პარაგრაფი | დაშვებულია ალტერნატიული ტექნიკური გადაწყვეტების წარდგენა სამუშაოთა შემდეგ ნაწილებზე: არ არის დაშვებული |

| | |
|--|--|
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 14.5 პარაგრაფი | ტენდერის მონაწილის მიერ წარმოდგენილი ფასები არ ექვემდებარება კორექტირებას კონტრაქტის განხორციელების დროს. |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 15.1 პარაგრაფი | ტენდერის მონაწილემ ფასები უნდა წარმოადგინოს: ლარში |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 18.1 პარაგრაფი | სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა შეადგენს: 120 დღეს , სატენდერო წინადადების წარმოდგენის თარიღად მითითებული თარიღის შემდგომ. |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 18.3 (ა) პარაგრაფი | კონტრაქტის ფასი კორექტირებული იქნება 1.5% ფაქტორის საფუძველზე. |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 19.1 პარაგრაფი | <p>ტენდერში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების საბანკო გარანტია: არ გამოიყენება</p> <p>ტენდერში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია - სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია. ტენდერის მონაწილეებმა უნდა გაითვალისწინონ რომ სატენდერო წინადადებების საბანკო გარანტია ან სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია უნდა წარმოადგინონ IV თავში ("სატენდერო ფორმები") მითითებული სატენდერო წინადადების გარანტიის (საბანკო გარანტია)/სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაციის ფორმის მიხედვით.</p> <p>ტენდერის მონაწილე, რომელიც წარმოდგენილია ერთობლივი საწარმოს სახით, ყურადღებით უნდა გაეცნოს "ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის" 19.8 მუხლის დებულებას, ვინაიდან, აღნიშნულ მუხლთან შეუსაბამობა შესაძლებელია გახდეს სატენდერო წინადადების უარყოფის მიზეზი.</p> |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 19.3 (დ) პარაგრაფი | სხვა ტიპის მისაღები გარანტიები: არ გამოიყენება |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 19.9 პარაგრაფი | იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილე განახორციელებს იმ ქმედებიდან, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე დებულების ა) ან ბ) ქვე-პარაგრაფებით რომელიმეს, სესხის ამდები არაუფლებამოსილად გამოაცხადებს ტენდერის მონაწილეს დამკვეთის მიერ კონტრაქტის მინიჭებაზე 1 (ერთ) წლიანი პერიოდის განმავლობაში |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 20.1 პარაგრაფი | სატენდერო წინადადების ორიგინალის გარდა წარმოდგენილი უნდა იქნას: არ გამოიყენება |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 20.2 პარაგრაფი | <p>ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ტენდერის მონაწილის სახელით სატენდერო წინადადების ხელმოწერის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი:</p> <p>1) პარტნიორთა კრების (პარტნიორთა კრება, საერთო კრება, აქციონერთა საერთო კრება, და ა.შ) ოქმი, რომლითაც კომპანიის დირექტორს ენიჭება უფლებამოსილება, რომ ხელი მოაწეროს სატენდერო წინადადებას ტენდერში მონაწილის სახელით.</p> |

2) თუ სატენდერო წინადადება ხელმოწერილია სხვა პირის მიერ გარდაღირექტორისა, როგორც ეს აღნიშნულია 1) პუნქტში, ტენდერში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს წერილობითი მინდობილობა, რომლითაც სატენდერო წინადადებაზე ხელმოწერ პირს ენიჭება უფლებამოსილება ხელი მოაწეროს სატენდერო წინადადებას ტენდერში მონაწილის სახელით.

იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადება წარმოდგენილია არსებული ან განზრახული **ერთობლივი საწარმოს** მიერ, ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ყველა მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება, რომელშიც:

(1) აღნიშნული იქნება, რომ ყველა მხარე ერთობლივად და ცალ-ცალკე არის პასუხისმგებელი კონტრაქტის შესრულებაზე, კონტრაქტის პირობების შესაბამისად;

(2) დასახელებული იქნება წარმომადგენელი, რომელსაც ექნება უფლებამოსილება იმოქმედოს **ერთობლივი საწარმოს** ყველა და თითოეული მხარის სახელით ტენდერის პროცესში და თუ ერთობლივ საწარმოს მიენიჭა კონტრაქტი, კონტრაქტის განხორციელების დროს;

(3) განსაზღვრული იქნება ერთობლივ საწარმოში შემავალი თითოეული პარტნიორის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების პროცენტული წილი.

დ. სატენდერო წინადადებების წარდგენა და გახსნა

ინსტრუქციები
ტენდერში
მონაწილეთათვის 21.1
პარაგრაფი

ტენდერის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები ელექტრონულად სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

აღნიშნულ შესყიდვაზე არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები. სატენდერო წინადადებების წარდგენა და წინადადებების გახსნა ჩატარდება ელექტრონულად სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით, გარკვეული მოდიფიკაციებით. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ძირითადი მოდიფიკაციები შემდეგია:

- გაუქმებულია ვაჭრობის სამი რაუნდის ფუნქციონალობა. ვაჭრობის დამატებითი რაუნდები არ გამოიყენება.
- ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის წინასწარი/სავარაუდო ღირებულება ღიაა, თუმცა ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ წინადადების ფასი, რომელიც შეიძლება იყოს სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი. ამასთან, სატენდერო წინადადების ფასის დადგენა არის ტენდერის მონაწილის პასუხისმგებლობა, რაც დაფუძნებული უნდა იყოს მიმდინარე საბაზრო ფასებზე და სხვა ფაქტორებზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ წარმოდგენილი სამუშაოების განფასებაზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ტენდერი ტარდება „ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის“ (National Competitive Bidding) პროცედურების შესაბამისად ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით. აღნიშნული სახელმძღვანელოს 3.4.1 პუნქტის შესაბამისად და დონორის გადაწყვეტილებით ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების

| | |
|---|---|
| | შესყიდვისათვის გამოყენებული იქნება მსოფლიო ბანკის სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაცია და მსოფლიო ბანკის შესყიდვის პროცედურები ეროვნული საკონკურსო ვაჭრობისათვის. |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 21.2 და 21.3 პარაგრაფი | არ გამოიყენება |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 22.1 პარაგრაფი | ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით. |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 22.1 პარაგრაფი | ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად არაუგვიანეს იმ თარიღისა და დროსა, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში. |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 25.1 პარაგრაფი | ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის პარაგრაფი 25.1 შეცვლილია და ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: წინადადებების გახსნა ჩატარდება ელექტრონულად სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით, გარკვეული მოდიფიკაციებით. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ძირითადი მოდიფიკაციები შემდეგია: <ul style="list-style-type: none"> - გაუქმებულია ვაჭრობის სამი რაუნდის ფუნქციონალობა. ვაჭრობის დამატებითი რაუნდები არ გამოიყენება. - ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის წინასწარი/სავარაუდო ღირებულება ღიაა, თუმცა ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ წინადადების ფასი, რომელიც შეიძლება იყოს სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი. ამასთან, სატენდერო წინადადების ფასის დადგენა არის ტენდერის მონაწილის პასუხისმგებლობა, რაც დაფუძნებული უნდა იყოს მიმდინარე საბაზრო ფასებზე და სხვა ფაქტორებზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ წარმოდგენილი სამუშაოების განფასებაზე. <p>ტენდერის გახსნის ოქმი განთავსდება შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში.</p> |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 25.3 პარაგრაფი | სატენდერო განაცხადზე და განფასებულ სამუშაოთა მოცულობების უწყისზე დამკვეთის წარმომადგენლის მიერ ინიციალების დასმა არ გამოიყენება |

ე. სატენდერო წინადადებების შეფასება და შედარება

| | |
|---|---|
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 34.1 პარაგრაფი | ამჟამად, დამკვეთი არ აპირებს შეასრულოს სამუშაოების გარკვეული კონკრეტული ნაწილები წინასწარ შერჩეული ქვე-კონტრაქტორების მეშვეობით. |
| ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 34.3 პარაგრაფი | ა) იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორის მიერ შემოთავაზებულია სამუშაოების გარკვეული ნაწილის შესრულება ქვე-კონტრაქტორის მიერ, ქვე-კონტრაქტების გაფორმების ნებადართული მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებელია: მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების 20% . <p>ბ) ტენდერში მონაწილეებმა, რომლებიც გეგმავენ სამუშაოს საერთო მოცულობის 10%-ზე მეტის ქვე-კონტრაქტების გაფორმების მეშვეობით განხორციელებას, სატენდერო წინადადების ფორმაში უნდა მიუთითონ სამუშაოების ის</p> |

| | |
|--|---|
| | <p>ღონისძიება (ღონისძიებები) ან ნაწილები, რომელთა განხორციელებაც უნდა მოხდეს ქვე-კონტრაქტების გაფორმების მეშვეობით, ასევე დეტალური ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.</p> <p>ქვე-კონტრაქტორების კვალიფიკაცია და გამოცდილება უნდა აკმაყოფილებდეს ქვე-კონტრაქტით განსაზღვრული სამუშაოს შესაბამის მინიმალურ კრიტერიუმებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვე-კონტრაქტორებს არ მიეცემათ მონაწილეობის უფლება.</p> <p>გ) ქვე-კონტრაქტორების კვალიფიკაცია და გამოცდილება ტენდერში მონაწილის შესაფასებლად მხედველობაში არ იქნება მიღებული. ტენდერში მონაწილე თვითონ (ქვე-კონტრაქტორის კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინების გარეშე) უნდა აკმაყოფილებდეს საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს</p> |
|--|---|

ვ. კონტრაქტის მინიჭება

| | |
|--|--|
| <p>ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 43.1 პარაგრაფი</p> | <p>ბ-ნი პაატა სალია, მისი ოფისი მდებარეობს საქართველო, თბილისი 0161, შიო მღვიმელის №4.</p> <p>მისთვის ანაზღაურება მოხდება 150 აშშ დოლარის ექვივალენტში საათში. ბიოგრაფიული მონაცემები მოცემულია ქვემოთ:</p> <p>განათლება:</p> <p>2007-2008 კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნეს სკოლის მაგისტრატურა: კომერციული სამართალი.</p> <p>1998-2001 სოხუმის ი. ვეკუას სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დიპლომი წარჩინებით.</p> <p>1989-1994 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი, დიპლომი წარჩინებით.</p> <p>აკადემიური საქმიანობა:</p> <p>2001-2004 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარებული სპეცკურსები: ადვოკატთა მოსამზადებელი კურსები; ბიზნეს სამართალი (ინგლისურად); მართვა და ადმინისტრირება. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული სპეცკურსები: კერძო არბიტრაჟი; ადვოკატთა მოსამზადებელი კურსები.</p> <p>პროფესიული გამოცდილება:</p> <p>2000-2001 იურიდიული ფირმა “ადვოკატი” – კონსულტანტი.</p> <p>2001-2005 დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობა.</p> <p>2002- დღემდე თბილისის სარბიტრაჟო პალატის რეგისტრატორი და დირექტორის მოადგილე.</p> <p>2005- დღემდე საადვოკატო ბიურო “გაბუნია და პარტნიორები” – ადვოკატი, პარტნიორი.</p> <p>კვალიფიკაცია:</p> |
|--|--|

| | |
|--|---|
| | <p>2006 ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის განხრით.</p> <p>2002 ადვოკატთა მოსამზადებელი კურსები. სერთიფიკატი.</p> <p>წევრობა: საქართველოს არბიტრაჟთა ასოციაცია – გამგეობის წევრი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - წევრი</p> <p>ენები: ქართული (მშობლიური), ინგლისური, რუსული, ბერძნული.</p> <p>კომპიუტერული ცოდნა: Windows 2000, საოფისე პროგრამები, ინტერნეტი.</p> |
|--|---|

III თავი – შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები

ეს ნაწილი შეიცავს ყველა იმ კრიტერიუმს, რომლებიც *დამკვეთმა* უნდა გამოიყენოს სატენდერო წინადადებების შესაფასებლად და ტენდერში მონაწილეების კვალიფიკაციის განსაზღვრისათვის. ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის პარაგრაფების 35 და 37 შესაბამისად, სხვა არცერთი მეთოდი, კრიტერიუმი და ფაქტორი არ უნდა იქნას გამოყენებული. ტენდერში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია IV თავში მოცემული სატენდერო ფორმების გამოყენებით.

1. შეფასება

“ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის” 35.2 (ა) – (ე) პარაგრაფების პუნქტებში ჩამოთვლილი კრიტერიუმების გარდა, გამოყენებული უნდა იქნას შემდეგი კრიტერიუმები:

1.1 ტენდერში მონაწილის ფინანსური სიძლიერე

ტენდერის მონაწილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ნათლად უნდა აჩვენებდეს, რომ იგი საკმარისად ძლიერია ფინანსურად შემოთავაზებული სამუშაოების განსახორციელებლად. კერძოდ, მან უნდა აჩვენოს, რომ ტენდერში მონაწილეს აქვს საჭირო რესურსი, რათა უზრუნველყოს სამუშაოების დაფინანსება დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში.

აღნიშნულის საჩვენებლად ტენდერში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ მას აქვს ხელმისაწვდომი სამუშაო კაპიტალი სამუშაოების (სარეზერვო თანხების გამოკლებით) ხარჯების დასაფარად ქვემოთ ცხრილში მოცემული საკვალიფიკაციო კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად. ტენდერში მონაწილემ ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს IV თავში მოცემული CCC და FIN-1 ფორმებით, სატენდერო ფორმებით, მიმდინარე კონტრაქტებით/ფინანსური რესურსებით, თანდართული აუდიტორულად დამოწმებული ანგარიშებით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ვერ დაადასტურდება ტენდერის მონაწილის მყარი ფინანსური პოზიცია და პერსპექტიული გრძელვადიანი რენტაბელობა, დამკვეთი იტოვებს უფლებას უარყოს წარმოდგენილი წინადადება ან მოითხოვოს კონტრაქტის ზოგადი პირობების 50.1 ქვეთავში მოცემული კონტრაქტის შესრულების გარანტიის თანხის გაზრდა.

1.2 ტენდერში მონაწილის ტექნიკური სიძლიერე

ტენდერის მონაწილემ ნათლად უნდა აჩვენოს, რომ იგი საკმარისად ძლიერია ტექნიკურად პროექტის განსახორციელებლად. აღნიშნულის დემონსტრირება შესაძლებელია შემოთავაზებული პერსონალის ხარისხით, ხელმისაწვდომი აღჭურვილობის პროექტთან შესაბამისობით და ტენდერში მონაწილის გამოცდილებით სამუშაოებით მოთხოვნილ სხვადასხვა სფეროებში.

1.3 ტექნიკური წინადადების ადეკვატურობა

ტენდერის მონაწილის ტექნიკური წინადადების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ტენდერის მონაწილის მიერ პროექტის მოთხოვნების გააზრება და მისი

შესაძლებლობა აღნიშნული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს გულისხმობს ტენდერში მონაწილის შემდეგი ასპექტების ხარისხის შეფასებას:

- მოედნის ორგანიზაცია
- მეთოდოლოგია
- მობილიზაციის გრაფიკი
- მშენებლობის გრაფიკი

1.4 შეუსაბამობები, შეცდომები, და გამოტოვებები:

“ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის” 14.2 და 30.3 პარაგრაფების შესაბამისად კორექტირება განხორციელდება შემდეგი მეთოდოლოგიის გამოყენებით:

განფასებულ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში წარმოდგენილი ტარიფები და ფასები, მოიცავს ყველანაირ სამშენებლო დანადგარს, მუშახელს, ზედამხედველობას, მასალებს, მონტაჟს, ტექმომსახურებას, დაზღვევას, მოგებას, გადასახადებს და მოსაკრებლებს, სხვა ყველა დანარჩენ რისკს, ვალდებულებასა და მოვალეობას, რომელიც კონტრაქტით არის გათვალისწინებული.

ტარიფი ან ფასი განფასებულ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში ყოველი პუნქტის გასწვრივ უნდა იყოს მოცემული, იქაც სადაც მოცულობები არის მოცემული და იქაც სადაც არ არის. იმ პუნქტების ღირებულება, რომლისთვისაც კონტრაქტორს ტარიფი ან ფასი არ მიუთითებია, მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალის სხვა ტარიფებითა და ფასებით დაიფარება.

1.5 ტენდერში მონაწილის ან ტენდერში მონაწილე ჯგუფის შემადგენლობა

კონკრეტული პირობების მიხედვით დაშვებულია ქვე-კონტრაქტორების გამოყენება სხვადასხვა სახის აქტივობებისთვის. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ქვე-კონტრაქტორის გამოცდილება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, როგორც ტენდერის მონაწილის კვალიფიკაციის შემადგენელი ნაწილი, მაშინ აღნიშნული ქვე-კონტრაქტორი უნდა ფიგურირებდეს საკვალიფიკაციო მონაცემებში და სრული ინფორმაცია მის შესახებ უნდა იქნას მოწოდებული, ისე როგორც ერთობლივი საწარმოს წევრის შემთხვევაში.

ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს საკმარისი ინფორმაცია იმ სამუშაოების შესახებ, რომლებიც უნდა შესრულდეს თითოეული ქვე-კონტრაქტორის მიერ, ასევე, საკმარისი ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორის ფინანსური სიძლიერის შესახებ, რათა დადასტურდეს, რომ ქვე-კონტრაქტორი არის ფინანსურად ძლიერი, რომ შესრულოს სამუშაოების მისთვის განკუთვნილი ნაწილი.

ანალოგიური ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი დასახელებული ქვე-კონტრაქტორებისათვის, როგორც ერთობლივი საწარმოს წევრებისთვის, და ერთობლივი საწარმოს ინფორმაციის ფორმები უნდა იყოს შევსებული ქვე-კონტრაქტორებისთვისაც.

1.6 დასრულების ვადა

დასრულების ალტერნატიული ვადა დაშვებული არ არის.

1.7 ტექნიკური ალტერნატივები

ტექნიკური ალტერნატივები არ შეფასდება

1.8 დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმი (ქვე-ფაქტორი 2.3.2.ბ)

ტენდერის მონაწილემ უნდა დაასაბუთოს, რომ შეუძლია შემოთავაზებული კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება, მაშინ როცა უკვე აქვს აღებული ვალდებულებები დამქირავებელთან ან სხვა სააგენტოებთან. ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს დასასრულებული სამუშაოების ნუსხა CCC ფორმაში (მიმდინარე საკონტრაქტო ვალდებულებები/მიმდინარე სამუშაოები) საკონკურსო წინადადებასთან ერთად.

ტენდერის მონაწილის შესაძლებლობების დაანგარიშება მოხდება შემდეგნაირად:

$$AT1 = AT2 - OW$$

სადაც:

AT1 – ტენდერის მონაწილის ხელმისაწვდომი წლიური შესაძლებლობა (კონტრაქტების საერთო (ჯამური) წლიური ღირებულება, რომლის მინიჭებაც შესაძლებელია ტენდერში მონაწილისათვის)

AT2 – ტენდერის მონაწილის სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვა, როგორც წარმოდგენილია FIN 3.2 ფორმაში.

OW – შესასრულებელი სამუშაოების წლიური ღირებულება, მათ შორის იმ კონტრაქტებით გათვალისწინებული სამუშაოებისაც, რომელიც უკვე მიენიჭა ტენდერის მონაწილეს მაგრამ ამ სამუშაოების განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, როგორც ეს წარმოდგენილია ფორმა CCC-ში.

იმ შემთხვევაში, თუ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებთან შესაბამისობის დასაბუთების მიზნით სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ფორმები, განაცხადები, დანართები ან ნებისმიერი თანდართული დოკუმენტები შეიცავს მცდარ/ არასწორ ინფორმაციას, მსგავსი ქმედება განიხილება თაღლითობად იტმ 3.1-ის შესაბამისად და წინადადება იქნება უარყოფილი.

ტენდერის მონაწილემ უნდა შეავსოს შემდეგი ცხრილი:

| | ლარი |
|--|------|
| სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვა (AT2) | |
| შესასრულებელი სამუშაოების წლიური ღირებულება (OW) | |
| ხელმისაწვდომი წლიური შესაძლებლობა (AT1) | |

შენიშვნა:

იმ კონტრაქტებისთვის, რომლის სამუშაოების დასრულების დაგეგმილი ვადა არ აღემატება 12 თვეს და/ან რომლის დარჩენილი სამუშაოების დასრულების დაგეგმილი ვადა არ აღემატება 12 თვეს, ტენდერის მონაწილის კუმულატიური წლიური შესაძლებლობის (AT1) გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ დარჩენილი (შესასრულებელი) სამუშაოების ღირებულება.

ტენდერის მონაწილის კვალიფიკაციის აღნიშნულ კრიტერიუმთან შეუსაბამობის შემთხვევაში დამკვეთი იტოვებს უფლებას უარყოს წარმოდგენილი წინადადება ან მოითხოვოს კონტრაქტის ზოგადი პირობების 50.1 ქვეთავში მოცემული კონტრაქტის შესრულების გარანტიის თანხის გაზრდა.

2. კვალიფიკაცია

| ფაქტორი ქვე-ფაქტორი | 2.1 უფლებამოსილება | | | | | | მოთხოვნა შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენაზე |
|---|--|---|--|--------------------------------|----------------|-------------------------------------|--|
| | მოთხოვნა | კრიტერიუმები | | | | დასახელებული ქვე- კონტრაქტორი | |
| | | ტენდერის მონაწილე ინდივიდუალური საწარმო | არსებული ან განზრახული ერთობლივი საწარმო | | | | |
| | | ყველა პარტნიორი ერთობლივად | თითოეული პარტნიორი | მინიმუმ ერთი პარტნიორი | | | |
| 2.1.1 ეროვნება | ეროვნება „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 4.3 პარაგრაფის შესაბამისად | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | არ გამოიყენება | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | ფორმები ELI-1.1, ELI-1.2 დანართებით |
| 2.1.2 ინტერესთა კონფლიქტი | ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 4.2 პარაგრაფის შესაბამისად | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | არ გამოიყენება | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | სატენდერო განაცხადი |
| 2.1.3. ბანკის მიერ არა-უფლებამოსილად მიჩნევა | არ იყოს ბანკის მიერ გამოცხადებული არაუფლებამოსილად, როგორც აღნიშნულია “ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 4.4, 4.5, 4.6 და 4.7 პარაგრაფებში | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | არ გამოიყენება | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | სატენდერო განაცხადი |
| 2.1.4 სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი დაწესებულება | განმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდეს “ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 4.5 პარაგრაფის პირობებს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | არ გამოიყენება | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | ფორმები ELI-1.1, ELI-1.2 დანართებით |
| 2.1.5 გაეროს რეზოლუციის ან საქართველოს კანონის საფუძველზე | არ არის არაუფლებამოსილად გამოცხადებული | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | არ გამოიყენება | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | სატენდერო განაცხადი |

| | | | | | | | |
|---------------------------------|--|--------------------|-------------------|-------------------|--|-------------------|--|
| არაუფლებამოსილად გამოცხადება | დამკვეთის ქვეყნის კანონებისა და ოფიციალური დადგენილების თანახმად ან გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად როგორც აღნიშნულია „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 4.7 პარაგრაფში და V თავში | ბდეს მოთხოვნებს | დეს მოთხოვნებს | დეს მოთხოვნებს | | დეს მოთხოვნებს | |
|---------------------------------|--|--------------------|-------------------|-------------------|--|-------------------|--|

2.2 შეუსრულებელი კონტრაქტები

| ფაქტორი | კრიტერიუმები | | | | | | საჭირო დოკუმენტაცია |
|---|---|-------------------------------|----------------------------|--|------------------------|-------------------------------|---------------------|
| | ქვე-ფაქტორი | მოთხოვნა | ტენდერის მონაწილე | | | დასახელებული ქვე-კონტრაქტორი | |
| | | | ინდივიდუალური საწარმო | არსებული ან განზრახული ერთობლივი საწარმო | | | |
| | | | ყველა პარტნიორი ერთობლივად | თითოეული პარტნიორი | მინიმუმ ერთი პარტნიორი | | |
| 2.2.1 შეუსრულებელი კონტრაქტების ისტორია | კონტრაქტის შეუსრულებლობას ¹ ადგილი არ ჰქონია ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში დაწყებული 2011 წლის 1 იანვრიდან განაცხადის წარგენის ბოლო თარიღამდე ყველა სრულად გადაჭრილი დავისა და სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიხედვით. დავა ან სამართალწარმოება სრულად გადაჭრილია, როდესაც იგი გადაჭრილია შესაბამისი კონტრაქტით განსაზღვრული დავების განმხილველი მექანიზმის გამოყენებით და რომელშიც ტენდერში მონაწილისთვის ხემისაწვდომი ყველა სააპელაციო ინსტანცია ამოწურულია. | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას | არ გამოიყენება | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას ² | არ გამოიყენება | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას | ფორმა CON-2 |
| 2.2.2 მიმდინარე სასამართლო დავა | ტენდერის მონაწილის ფინანსური მდგომარეობა და პერსპექტიული გრძელვადიანი რენტაბელობა სტაბილური უნდა იყოს და სასამართლო პროცესი გადაწყვეტილი უნდა იქნას ტენდერის მონაწილის სასარგებლოდ | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას | არ გამოიყენება | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას | არ გამოიყენება | არ გამოიყენება | ფორმა CON-2 |
| 2.2.3 სასამართლო | 2013 წლის 1 იანვრიდან ადგილი არ ჰქონია ტენდერის | უნდა აკმაყოფილებდეს | უნდა აკმაყოფილებდეს | უნდა აკმაყოფილებდეს | არ | არ | |

| პროცესების ისტორია | მონაწილის ³ საწინააღმდეგოდ მიღებულ სასამართლო/არბიტრაჟის გადაწყვეტილებას | დეს მოთხოვნას | ბდეს მოთხოვნას | დეს მოთხოვნას | გამოიყენება | გამოიყენება | |
|--------------------|---|---------------|----------------|---------------|-------------|-------------|--|
|--------------------|---|---------------|----------------|---------------|-------------|-------------|--|

1. შეუსრულებლობა, დამკვეთის გადაწყვეტილების თანახმად, მოიცავს ყველა კონტრაქტს, სადაც ა) შეუსრულებლობა არ იყო გასაჩივრებული კონტრაქტორის მიერ, რაშიც ასევე შედის დავების გადაჭრის მექანიზმის გამოყენება შესაბამისი კონტრაქტის ფარგლებში, და ბ) ის კონტრაქტები, რომლებზეც საჩივარი იქნა შეტანილი და გადაწყვეტილება კონტრაქტორის წინააღმდეგ იქნა მიღებული. შეუსრულებლობა არ ითვალისწინებს იმ კონტრაქტებს, სადაც დამკვეთის გადაწყვეტილება ანულირებული იქნა დავების გადაჭრის მექანიზმის მეშვეობით. შეუსრულებლობა უნდა დაეფუძნოს ყველა სახის ინფორმაციას სრულად გადაჭრილ დავებზე და სასამართლო პროცესებზე. ე.ი. დავა ან სასამართლო პროცესი, რომელიც გადაწყდა დავების გადაჭრის მექანიზმის მეშვეობით შესაბამისი კონტრაქტის ფარგლებში და სადაც ამოწურულია ტენდერის მონაწილისათვის ხელმისაწვდომი ყველა სააპელაციო ინსტანცია.
2. ეს მოთხოვნა ასევე ეხება იმ კონტრაქტებს, რომლებიც შესრულებულია ტენდერის მონაწილის მიერ ერთობლივი საწარმოს შემადგენლობაში.
3. ტენდერში მონაწილემ სატენდერო განაცხადში უნდა წარმოადგინოს ზუსტი ინფორმაცია ნებისმიერი დავის ან სასამართლო/საარბიტრაჟო პროცესის შესახებ, რომელიც გამომდინარეობს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მის მიერ დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტებიდან. ტენდერში მონაწილის ან **ერთობლივი საწარმოს** რომელიმე წევრის წინააღმდეგ მიღებული სასამართლო/საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების თანმიმდევრულ ისტორიას შესაძლოა მოჰყვეს ტენდერში მონაწილის დისკვალიფიკაცია.

| ფაქტორი | | 2.3. ფინანსური მდგომარეობა | | | | | | |
|---|--|-------------------------------|--|-------------------------------------|-------------------------------------|---------------------|----------------------------|--|
| | | კრიტერიუმები | | | | | | |
| ქვე-ფაქტორი | მოთხოვნა | ტენდერის მონაწილე | | | დასახელებული ქვე-კონტრაქტორი | საჭირო დოკუმენტაცია | | |
| | | ინდივიდუალური საწარმო | განზრახული ან არსებული ერთობლივი საწარმო | | | | | |
| | | | ყველა პარტნიორი ერთობლივად | თითოეული პარტნიორი | | | მინიმუმ ერთი პარტნიორი | |
| 2.3.1 ისტორიული ფინანსური შესრულება | ბოლო 3 წლის (2013, 2014, 2015 წწ) აუდიტირებული ბალანსების, ან, თუ ტენდერის მონაწილის ქვეყნის კანონმდებლობა ამას არ ითხოვს, დამკვეთისათვის მისაღები სხვა ფინანსური ანგარიშების წარდგენა თავისი მყარი ფინანსური პოზიციის და პერსპექტიული გრძელვადიანი რენტაბელობის საჩვენებლად. | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას | არ გამოიყენება | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას | არ გამოიყენება | არ გამოიყენება | ფორმა FIN-3.1 დანართებით | |
| 2.3.2.ა სამშენებლო სამუშაოების სამუშაოების წლიური ბრუნვა | სამშენებლო სამუშაოების მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა 4,760,000.00 ლარის ოდენობით , რომელიც ანგარიშდება, როგორც ბოლო 2 (ორი) წლის (2014 და 2015 წწ.) განმავლობაში შესრულებული სამუშაოებისათვის დამოწმებული გადახდების ჯამი გაყოფილი ორზე (2). | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის 25%-ს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის 40%-ს | არ გამოიყენება | ფორმა FIN-3.2 | |
| 2.3.2.ბ ხელმისაწვდომი წლიური შესაძლებლობა | ხელმისაწვდომი წლიური შესაძლებლობა არანაკლებ 3,173,000.00 ლარისა , რომელიც ანგარიშდება, როგორც მითითებულია მე-3 თავში (პუნქტი 1.8). | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის 25%-ს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის 40%-ს | არ გამოიყენება | ფორმა FIN-3.2 და ფორმა CCC | |
| 2.3.3 ფინანსური რესურსები | ტენდერის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მას გააჩნია ან ხელი მიუწვდება ფინანსურ რესურსებზე, როგორცაა ლიკვიდური აქტივები, დაუგირავებელი უძრავი ქონება, საკრედიტო ხაზები და სხვა | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას | არ გამოიყენება | არ გამოიყენება | არ გამოიყენება | ფორმა FIN-3.3 | |

| | | | | | | | |
|--|---|--|--|--|--|--|--|
| | <p>ფინანსური სამუალები, კონტრაქტის ფარგლებში საავანსო გადახდების გარდა, რათა დააკმაყოფილოს:</p> <p>(i) ნაღდი ფულის მოძრაობის მოთხოვნა წინამდებარე კონტრაქტისათვის, რომლის ოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 740,000 ლარისა;</p> <p>(ii) მთლიანი ნაღდი ფულის მოძრაობის მოთხოვნა მიმდინარე და სამომავლო საკონტრაქტო ვალდებულებებისათვის.</p> | | | | | | |
|--|---|--|--|--|--|--|--|

2.4 გამოცდილება

| ფაქტორი | კრიტერიუმები | | | | | | | საჭირო დოკუმენტაცია |
|-------------------------------------|---|--------------------------------|-----------------------|--|--------------------|------------------------|------------------------------|---------------------|
| | ქვე-ფაქტორი | მოთხოვნა | ტენდერის მონაწილე | | | | დასახელებული ქვე-კონტრაქტორი | |
| | | | ინდივიდუალური საწარმო | განზრახული ან არსებული ერთობლივი საწარმო | | | | |
| | | | | ყველა პარტნიორი ერთობლივად | თითოეული პარტნიორი | მინიმუმ ერთი პარტნიორი | | |
| 2.4.1 ზოგადი სამშენებლო გამოცდილება | კონტრაქტორის, ქვეკონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის ან მმართველი კონტრაქტორის როლში სამშენებლო კონტრაქტების შესრულების მინიმუმ 2-წლიანი გამოცდილება დაწყებული 2012 წლის 1 იანვრიდან განაცხადის წარდგენის ბოლო თარიღამდე. | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | არ გამოიყენება | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | არ გამოიყენება | არ გამოიყენება | ფორმა EXP-4.1 | |

| | | | | | | | |
|--|--|--------------------------------|---|----------------|----------------|-----------------------|-------------------|
| 2.4.2 (ა) კონკრეტული სამშენებლო გამოცდილება | <p>(i) მინიმალური რაოდენობის ანალოგიური⁴ კონტრაქტები, რაც ქვემოთ არის მითითებული, რომლებიც დამაკმაყოფილებლად და არსებითად⁵ იქნა დასრულებული კონტრაქტორის, ქვეკონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის⁶ ან მმართველი კონტრაქტორის როლში 2011 წლის 1 იანვრიდან განაცხადის წარდგენის ბოლო თარიღამდე.</p> <p>(ii) მსგავსი სახის სამუშაოების კონტრაქტი, კერძოდ, საავტომობილო გზების მშენებლობა/რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის კონტრაქტი როგორც კონტრაქტორის, მმართველი კონტრაქტორის, ან ქვეკონტრაქტორის სახით: მინიმუმ ერთი (1) კონტრაქტი არანაკლებ 2,540,000.00 ლარის ექვივალენტის ღირებულებით ან ორ კონტრაქტში, რომელთაგან თითოეულის ღირებულებაა სულ მცირე 1,270,000.00 ლარის ექვივალენტი.</p> | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს ⁷ | არ გამოიყენება | არ გამოიყენება | არ გამოიყენება | ფორმა EXP-4.2 (ა) |
| 2.4.2 (ბ) კონკრეტული გამოცდილება | <p>ზემოთმოყვანილი და ნებისმიერი სხვა კონტრაქტისათვის, რომელიც დასრულებულია ან განხორციელების პროცესშია კონტრაქტორის, ქვეკონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის ან მმართველი კონტრაქტორის როლში⁸, ზემოთმოყვანილ 4.2 (ა) პარაგრაფში მითითებული პერიოდის პირველ კალენდარულ დღეს ან მის შემდგომ პერიოდში, წარმატებით დასრულებული მინიმალური სამშენებლო გამოცდილება ქვემოთმოყვანილ ძირითად საქმიანობებში^{9/10}:</p> <p>1. გზებზე ხელოვნური ნაგებობების მოწყობის მონოლითური რკინა/ბეტონის სამუშაოები - სულ მცირე 800 კვ.მ.</p> | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს | არ გამოიყენება | არ გამოიყენება | არ გამოიყენება | ფორმა EXP-4.2 (ბ) |

| | | | | | | | |
|--|--|--|--|--|--|--|--|
| | <p>2. გაბიონის მოწყობა - სულ მცირე 1200 კბ.მ.</p> <p>3. ღორღოვანი ან ხრეშოვანი გზის საფარის მოწყობა - სულ მცირე 18 000 კბ.მ.</p> | | | | | | |
|--|--|--|--|--|--|--|--|

4. სამუშაოთა ანალოგიურობა გულისხმობს სამუშაოთა მსგავსებას მათი ფიზიკური მოცულობის, სირთულის, განხორციელების მეთოდების, ტექნოლოგიების და სხვა თავისებურებების მიხედვით, როგორც ეს აღწერილია VII თავში (სამუშაოთა მოთხოვნები). მცირე ღირებულების კონტრაქტების (რომელთა ღირებულებაც მოთხოვნილზე ნაკლებია) დაჯამება საერთო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიღებული არ იქნება.
5. არსებითად დასრულებული გულისხმობს 80% ან მეტი მოცულობის სამუშაოების დასრულებას კონტრაქტის ფარგლებში.
6. იმ კონტრაქტებისათვის, სადაც ტენდერის მონაწილე **ერთობლივი საწარმოს** წევრის ან ქვე-კონტრაქტორის სახით მონაწილეობდა, ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ტენდერის მონაწილის წილი, ღირებულების მიხედვით.
7. **ერთობლივი საწარმოს** შემთხვევაში, მისი წევრების მიერ განხორციელებული კონტრაქტების ღირებულება არ გაერთიანდება იმის განსასაზღვრად დაკმაყოფილებულია თუ არა ერთეული კონტრაქტის მინიმალური ღირებულების მოთხოვნა. რამედ პირიქით, თითოეული წევრის მიერ განხორციელებული თითოეული კონტრაქტი უნდა აკმაყოფილებდეს ერთეული კონტრაქტის მინიმალურ ღირებულებას, რომელიც მოთხოვნილია ერთეული ორგანიზაციისაგან. იმის განსასაზღვრად აკმაყოფილებს თუ არა **ერთობლივი საწარმო** კონტრაქტების საერთო რაოდენობის მოთხოვნას, გაერთიანდება მხოლოდ ყველა წევრის მიერ განხორციელებული კონტრაქტების რაოდენობა, რომელთაგან თითოეულის ღირებულება უდრის ან აღემატება მინიმალურ მოთხოვნილ ღირებულებას.
8. იმ კონტრაქტებისათვის, რომელშიც ტენდერის მონაწილე **ერთობლივი საწარმოს** წევრის ან ქვე-კონტრაქტორის სახით მონაწილეობდა, მხოლოდ ტენდერის მონაწილის წილი ჩათვლება ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.
11. მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია სპეციალიზირებული ქვე-კონტრაქტორის მეშვეობით.
9. ძირითადი საქმიანობების მოცულობის, რაოდენობის ან წარმადობის ჩვენება შესაძლებელია ერთი ან მეტი კონტრაქტის კომბინაციით, თუკი ისინი შესრულებულია ერთი და იგივე პერიოდის განმავლობაში. წარმადობად ითვლება ძირითადი სამშენებლო საქმიანობის (საქმიანობების) წლიური წარმადობის მაჩვენებელი.
10. გამოცდილების მინიმალური მოთხოვნა რამოდენიმე კონტრაქტისათვის უნდა იყოს მინიმალური მოთხოვნების ჯამი შესაბამისი ინდივიდუალური კონტრაქტებისათვის.

5 პერსონალი

ტენდერის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ საკვანძო თანამდებობებისათვის მას ჰყავს პერსონალი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

| N | თანამდებობა | ჯამური სამუშაო გამოცდილება (წლები) | მსგავსი სამუშაო გამოცდილება (წლები) |
|----|------------------------|------------------------------------|-------------------------------------|
| 1. | პროექტის მენეჯერი | 10 | 5 |
| 2. | სამუშაოთა ზედამხედველი | 5 | 3 |
| 3. | ხარისხის ინჟინერი | 5 | 3 |

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტორს შეუძლია დამატებითი ინფორმაცია მოიძიოს www.worknet.gov.ge ვებ-გვერდზე

ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია შემოთავაზებული პერსონალისა და მათი გამოცდილების შესახებ IV თავში (სატენდერო ფორმები) მოცემული ფორმების გამოყენებით

6 აღჭურვილობა

ტენდერის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისთვის ხელმისაწვდომია კონტრაქტორისათვის საჭირო ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი აღჭურვილობა:

| № | დასახელება | ერთეული | რაოდენ. |
|----|-----------------------------------|---------|---------|
| 1 | ავტოთვიტმცლელი 7-10 ტ. | ცალი | 8 |
| 2 | გრეიდერი 79 კვტ | ცალი | 1 |
| 3 | ბულდოზერი 130 ც/მ | ცალი | 1 |
| 4 | ექსკავატორი „კოდალა“ | ცალი | 1 |
| 5 | სატკეპნი გლუვვალციანი 11-18 ტ. | ცალი | 1 |
| 6 | სატკეპნი ვიბრაციული 25 ტ. | ცალი | 1 |
| 7 | ამწე 20 ტ. | ცალი | 1 |
| 8 | ბორტიანი მანქანა | ცალი | 2 |
| 9 | ავტობეტონმრევი 8 კბ.მ. | ცალი | 2 |
| 10 | ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.5 კბ.მ. | ცალი | 1 |

ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს უფრო დეტალური ინფორმაცია შემოთავაზებული აღჭურვილობის შესახებ IV თავში წარმოდგენილი ფორმის გამოყენებით.

თავი VII-სამუშაოთა მოთხოვნები

სპეციფიკაციები

თანდართული ფაილები:

02 დეტალური სპეციფიკაციები

03 ტექნიკური სპეციფიკაციები

ნახაზები

იხ. თანდართული გრაფიკული ნაწილი

სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალი

ა. პრემბულა

10. სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალი შემდეგ დოკუმენტებთან ერთად განიმარტება: „ინსტრუქციები ტენდერის მონაწილეთათვის“, „კონტრაქტის ზოგადი და კონკრეტული პირობები“, „ტექნიკური სპეციფიკაციები“ და ნახაზები.
 10. მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში მოცემული მოცულობები წინასწარი და პირობითია, ისინი წარმოდგენილია ტენდერისათვის საერთო საფუძვლის უზრუნველსაყოფად. გადახდის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს შეკვეთილი და განხორციელებული სამუშაოების ფაქტიური მოცულობები, რომელიც კონტრაქტორის მიერ არის დაანგარიშებული, ინჟინერის მიერ დამოწმებული და შეფასებულია განფასებულ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში შემოთავაზებულ ტარიფებად და ფასებად, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, სხვა შემთხვევაში კი იმ ტარიფებად და ფასებად, რაც პროექტის მენეჯერს შეუძლია დაადგინოს კონტრაქტის პირობების ფარგლებში.
 10. განფასებულ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში წარმოდგენილი ტარიფები და ფასები, იმ შემთხვევების გარდა თუ კონტრაქტში სხვაგვარად არ არის მითითებული, მოიცავს ყველანაირ სამშენებლო დანადგარს, მუშახელს, ზედამხედველობას, მასალებს, მონტაჟს, ტექნომსახურებას, დაზღვევას, მოგებას, გადასახადებს და მოსაკრებლებს, სხვა ყველა დანარჩენ რისკს, ვალდებულებასა და მოვალეობას, რომელიც კონტრაქტით არის გათვალისწინებული.
 10. ტარიფი ან ფასი განფასებულ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში ყოველი პუნქტის გასწვრივ უნდა იყოს მოცემული, იქაც სადაც მოცულობები არის მოცემული და იქაც სადაც არ არის. იმ პუნქტების ღირებულება, რომლისთვისაც კონტრაქტორს ტარიფი ან ფასი არ მიუთითებია, მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალის სხვა ტარიფებითა და ფასებით დაიფარება.
 10. კონტრაქტის პირობებთან შესატყვისობის მთელი ღირებულება უნდა შევიდეს განფასებულ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალის პუნქტებში.
6. აუცილებელი არ არის, რომ ზოგადი ინსტრუქციები და სამუშაოთა და მასალების აღწერილობა განმეორდეს ან შეჯამდეს მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში. საკონტრაქტო დოკუმენტაციის შესაბამისი სექციების მითითება უნდა მოხდეს განფასებულ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში ყოველი პუნქტის გასწვრივ ფასის შეყვანამდე.

7. მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალში შეტანილი და შესაბამისად გათვალისწინებული პირობითი თანხები უნდა გაიხარჯოს მთლიანად ან ნაწილობრივ, პროექტის მენეჯერის მითითებითა და მისი შეხედულებისამებრ.

8. ყველა სამუშაო, რომელიც მითითებულია სამუშაოთა განფასებულ უწყისში უნდა დაანგარიშდეს ფაქტიური აზომვებით იმ ერთეულის ფასზე და განზომილებაზე და ასევე ფაქტიურ მოცულობებზე დაყრდნობით, რომელიც ზედმიწევნით განხორციელდა კონტრაქტის ან შემდეგში პროექტის მენეჯერის მიერ წერილობით გაცემული ინსტრუქციების შესაბამისად. არ ანაზღაურდება მშენებლობისათვის გამოყენებული დროებითი ნაგებობების, სამშენებლო ტერიტორიის მოწყობის, მანქანა-დანადგარების მუშაობის ხარჯები, რამდენადაც ეს ხარჯები უნდა გათვალისწინებულ იქნას სატენდერო წინადადების ფასში.

9. დამკვეთი შეასწორებს შეცდომებს, რაშიც იგულისხმება ნებისმიერი არითმეტიკული შეცდომები, რომელიც დაშვებული იყო დაანგარიშებისას ან შეჯამებისას, კერძოდ:

(ა) სადაც არსებობს შეუსაბამობა ციფრებსა და მათ სიტყვიერ ფორმულირებას შორის, უპირატესობა მიენიჭება სიტყვიერ ფორმულირებას; და

(ბ) სადაც არსებობს შეუსაბამობა ერთეულის ღირებულებასა და ერთეულის ფასისა და მოცულობის გამრავლების შედეგად მიღებულ თანხას შორის, უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ღირებულებას, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც დამკვეთის აზრით, ერთეულის ფასის წარმოდგენისას სახეზეა უხეში შეცდომა მეთაუდების გამომყოფი წერტილის დასმაში, ამ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ჯამს და კორექტირებული იქნება ერთეულის ღირებულება.

10. კლდოვანი ქანი ეწოდება ყველა იმ მასალას, რომელიც პროექტის მენეჯერის აზრით, საჭიროებს აფეთქებას, ან მეტალის სოლების და უროების გამოყენებას, ან ჰაერის ჩაბერვით ბურღვას ლიკვიდაციისათვის და რომლის ლიკვიდაციაც შეუძლებელია 150 ცხენისძალიანი ტრაქტორით ერთი, უკან დამონტაჟებული მძლავრი გამაფხვიერებელით.

დამატებითი ინფორმაცია

- განმარტებითი ბარათი
- უწყისები

VIII თავი - კონტრაქტის კონკრეტული პირობები

თავი VIII. კონტრაქტის კონკრეტული პირობები

| ა. ზოგადი | |
|-------------------------------------|---|
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (დ) | დამფინანსებელი ინსტიტუტი არის: ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ს) | დამკვეთი არის: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. #150, სართული/ოთახის ნომერი: ოთახი 301, III სართული ქალაქი: თბილისი საფოსტო ინდექსი: 0112 ქვეყანა: საქართველო |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ზ) | მთლიანი სამუშაოების დასრულების დაგეგმილი თარიღი: სამუშაოთა დაწყებიდან 365 დღე |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (შ) | პროექტის მენეჯერი: განისაზღვრება კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ც) | ობიექტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, გურიის რეგიონში, თბილისიდან 280 კმ. მანძილზე. |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ჭ) | სამუშაოების დაწყების თარიღია: კონტრაქტის ხელმოწერიდან 15 დღეში. |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (აა) | პროექტი ითვალისწინებს ბუკისციხე-ზემო სურების ადგილობრივი გზის რეაბილიტაციას სიგრძით 16,640.00 მ. ქვიშა-ხრემისა და ღორღის საფარის მოწყობით, გზის სიგანე 6 მ. ეზოში შესასვლელების, მიერთებების, ხიდების რეაბილიტაციას, წყალამრიდი მილების და აკვედუკის მოწყობას. ძირითადი სამშენებლო სამუშაოების მოცულობები: 1. ფრაქციული ღორღი 10,948.00 კვ.მ; 2. ქვიშა-ხრემოვანი ნარევი 12,521.00 კვ.მ; 3. ლითონის მილები საერთო სიგრძით 495 გრძ.მ; 4. ბეტონის თვალამრიდი 477 გრძ.მ; 5. მონოლითური რკ/ბეტონი 994 კვ.მ; 6. გაბიონი 1,511.00 კვ.მ; 7. პლასტმასის ბოძკონტები 1,600.00 ც. |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 2.2 | ობიექტის ნაწილ-ნაწილ დასრულება: არ გამოიყენება |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 2.3 (ი) | შემდეგი დოკუმენტები ასევე წარმოადგენს კონტრაქტის ნაწილს: გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 3.1 | კონტრაქტის ენა: ქართული პროექტის მენეჯერთან საკომუნიკაციო ენა: ორენოვანი - ქართულ/ინგლისური (უპირატესობა მიენიჭება კონტრაქტის ენას) კონტრაქტის მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 5.1 | კონტრაქტის მენეჯერს არ შეუძლია თავისი ნებისმიერი ვალდებულებებისა და მოვალეობების სხვა პირებისათვის გადაცემა. |

| | |
|--|---|
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 8.1 | სხვა კონტრაქტორების გრაფიკი: ა/გ |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 13.1 | <p>დაზღვევის მინიმალური თანხა და სხვა გამოსაქვითი თანხები:</p> <p>(ა) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები სამუშაოების, ქარხნის/დანადგარების და მასალებისათვის: კონტრაქტის ღირებულების ას ათი (110) პროცენტი.</p> <p>მაქსიმალური სადაზღვევო დასაკავებელი თანხები სამუშაოების, ქარხნის/დანადგარების და მასალების დაზღვევისათვის: 8,500 ლარი;</p> <p>(ბ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მანქანა-დანადგარების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში: 400,000 ლარი.</p> <p>მაქსიმალური დასაკავებელი თანხები მანქანა-დანადგარების დაზღვევისათვის: 8,500 ლარი;</p> <p>(გ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები კონტრაქტთან დაკავშირებული ქონების (სამუშაოების, ქარხნის/დანადგარების და მასალების გარდა) დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში: 100,000 ლარი.</p> <p>მაქსიმალური დასაკავებელი თანხები მესამე სხვა ქონების დაზღვევისათვის – 8,500 ლარი;</p> <p>(დ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები ტრამვისა და სიკვდილის შემთხვევაში შეადგენს:</p> <p>(i) კონტრაქტორის პერსონალისათვის: 5,000 ლარს/კაცზე, მთლიანობაში მინიმუმ 100,000 ლარს;</p> <p>(ii) მესამე პირთათვის 50,000 ლარს;</p> |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 14.1 | ობიექტის მონაცემები: არ გამოიყენება |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 20.1 | ობიექტის ტერიტორიის გადაცემის თარიღ(ებ)ი: კონტრაქტის ორმხრივად ხელმოწერის დღე . |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 23.1 და 23.2 | <p>მომრიგებლის დამნიშნავი უწყება:</p> <p>დავების განმხილველი ცენტრი</p> <p>ვაჟა-ფშაველას 71, ბლოკი, 1 სართული</p> <p>ტელ: 032 2 207 327</p> <p>ელ-ფოსტა: info@drc-arbitration.ge</p> |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 24.3 | მომრიგებლის საათობრივი ანაზღაურების განაკვეთი და ანაზღაურებადი ხარჯების ტიპები: გადახდის თარიღისათვის 150 აშშ დოლარის ექვივალენტი საათში |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 24.4 | <p>უწყებები, რომელთა არბიტრაჟის რეგლამენტიც იქნება გამოყენებული:</p> <p>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი.</p> <p>არბიტრაჟის მისამართია:</p> <p>დავების განმხილველი ცენტრი</p> <p>ვაჟა-ფშაველას 71, ბლოკი, 1 სართული</p> <p>ტელ: 032 2 207 327</p> <p>ელ-ფოსტა: info@drc-arbitration.ge</p> |
| ბ. ვადების კონტროლი | |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 26.1 | კონტრაქტის ხელმოწერის თარიღიდან 7 დღის განმავლობაში კონტრაქტორმა დასამტკიცებლად უნდა წარმოადგინოს სამუშაოების პროგრამა. |

| | |
|---------------------------------------|---|
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 26.3 | სამუშაოთა პროგრამის განახლება უნდა მოხდეს 30 დღიანი ინტერვალებით განახლებული სამუშაოთა პროგრამის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში დაკავებული იქნება 20,000 ლარი |
| გ. ხარისხის კონტროლი | |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 34.1 | დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი შეადგენს 365 დღეს. |
| დ. ხარჯების კონტროლი | |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 44.1 | არ გამოიყენება |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 45.1 | კონტრაქტი არ ექვემდებარება ფასის კორექტირებას კონტრაქტის ზოგადი პირობების 45-ე პარაგრაფის შესაბამისად |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 46.1 | დაკავებული გადახდების წილი შეადგენს: 5% |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 47.1 | მთელი ობიექტის სამუშაოების დასრულების ვადის გადაცილების ჯარიმა შეადგენს კონტრაქტის საბოლოო ფასის 0,1 % თითოეულ გადაცილებულ დღეზე. მთელი ობიექტის სამუშაოების ვადაგადაცილების ჯარიმის მაქსიმალური თანხა შეადგენს კონტრაქტის საბოლოო ფასის 10% |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 48.1 | პრემია (ბონუსი) ობიექტზე მთელი სამუშაოების დადგენილ ვადაზე ადრე დასრულების შემთხვევაში ყოველი დღისათვის: არ გამოიყენება |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 49.1 | ავანსი შეადგენს კონტრაქტის მიღებული თანხის არაუმეტეს 20%-ისა და კონტრაქტორისათვის გადახდილი იქნება დამკვეთისათვის მისაღები საფინანსო დაწესებულების მიერ გაცემული იგივე ოდენობის საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის წამოდგენის შემდეგ. თუკი გარანტია გაცემულია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი დაწესებულების მიერ, გარანტია დამოწმებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი საფინანსო დაწესებულების მიერ, რომელიც უზრუნველყოფს მისი ამოქმედების შესაძლებლობას. |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 50.1 | კონტრაქტის შესრულების გარანტიის თანხა შეადგენს კონტრაქტის ღირებულების 10%-ს და წარმოდგენილი უნდა იყოს ბანკის მიერ გაცემული უპირობო (პირველივე მოთხოვნისთანავე) საბანკო გარანტიის სახით. თუკი გარანტია გაცემულია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი ბანკის მიერ, გარანტია დამოწმებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ბანკის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს მისი ამოქმედების შესაძლებლობას. (ა) უპირობო საბანკო გარანტია: - კონტრაქტის ფასის 10% გარანტია უნდა იყოს უპირობო (პირველივე მოთხოვნისთანავე) (იხ. ნაწილი IX, საკონტრაქტო ფორმები). |
| ე. კონტრაქტის დასრულება | |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 56.1 | თარიღი რომლისთვისაც მომზადებული უნდა იყოს ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო: არ გამოიყენება |

| | |
|--|--|
| | თარიღი რომლისთვისაც მომზადებული უნდა იყოს საშემსრულებლო ნახაზები არის კონტრაქტის დასრულების თარიღი |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 56.2 | თანხა, რომლის დაკავება მოხდება იმ შემთხვევაში თუ არ იქნება წარმოდგენილი დამთავრებული საშემსრულებლო ნახაზები და/ან ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოები კონტრაქტის ზოგად პირობებში 58.1 მოთხოვნილი თარიღისათვის არის 20,000 ლარი |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 57.2 (ზ) | დღეების მაქსიმალური რაოდენობა: 50 |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები 58.1 | პროცენტი, რომელიც გამოიყენება დაუსრულებელი სამუშაოების ღირებულების მიმართ ობიექტის დასასრულებლად დამკვეთის დამატებითი ხარჯებისათვის 5% |